

გაიცანით პროფესიონალი
მარინა შიოლაშვილი - 50 წლის
მესტია, სოფ. ლენჯერი
სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,თეთნულდი"
მზარეული
დასაქმებულია: გახსნა საკუთარი კაფე-ბარი
,,კოლეჯში ახლობლის რჩევით მივედი, ავირჩიე სპეციალობა და ავიხდინე ჩემი დიდი ხნის ოცნება, მესწავლა მზარეულის პროფესია. კოლეჯში სასწავლო სამზარეულო მოწყობილია ევრო სტანდარტების დონეზე და სწავლაც (თეორიული და პრაქტიკული) მაღალ დონეზე მიმდინარეობს. სასწავლო პროგრამის დამთავრების შემდეგ შვილთან ერთად, რომელმაც ასევე საკმაოდ წარმატებულად დაამთავრა პროფესიული კოლეჯის ,,თეთნულდი", ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალობით, გავხსენით კაფე-ბარი ,,შიოლა". კოლეჯში შეძენილი ცოდნა ძალიან დამეხმარა საოჯახო ბიზნესის შექმნასა და წარმართვაში".
კაფე-ბარი შიოლა
Kafe-Bar SHIOLA
OPEN
WELCOME




გაიცანით პროფესიონალი
ბექა ნავერიანი
მესტია, სოფ. მულახი
სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,თეთნულდი"
გიდი
დასაქმებულია: ტურისტულ კომპანიაში „ვიზიტ- პორჯია"
„კოლეჯში ,, თეთნულდი" სწავლა დავიწყე გიდის სპეციალობაზე, პროფესიონალი პედაგოგების დამსახურებით, ეს საქმე კიდევ უფრო შემიყვარდა.
სწავლის დამთავრების შემდეგ, მალევე დავიწყე მუშაობა და ამჟამად ვმუშაობ გიდად და ვთვლი, რომ საკმაოდ წარმატებულად. ჩემს თანატოლებს ვურჩევდი, რომ მიიღონ სასურველი განათლება კოლეჯში, რაც შემდგომში მათი დასაქმების გარანტია იქნება".

## გაიცანით პროფესიონალი



- ლომა იოსელიანი - 21 წლის
- მესტია, სოფ. მულახი
- სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,თეთნულდი“
- გიდი
- დასაქმებულია: კურორტზე ,,თეთნულდი“, მაშველი, მოქმედი გიდი.

,,კოლეჯ „თეთნულდი“-ს შესახებ ფეისბუქიდან გავიგე, სწორედ მაშინ იყო გამოცხადებული მიღება სხვადასხვა პროფესიულ პროგრამებზე. მე ავირჩიე ჩემი საოცნებო სპეციალობა - გიდი. კოლეჯში სწავლის ძალიან მაღალი დონე დამხვდა. პრაქტიკული გაკვეთილების ფარგლებში, ვათვალიერებდით ტურისტულ მარშუტებს, ეკლესია-მონასტრებს, კულტურულ და ისტორიულ ძეგლებს, რაც მართლა ძალიან საინტერესო იყო. ამჟამად ვარ მოქმედი გიდი და მაშველი კურორტზე „თეთნულდი“.